



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

15. 05. 2019 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის იურიდიული სამსახურის

უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მოუწოდა ბიუროს წევრებს დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა ეს საკითხი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 31 მაისი, 11:00 საათი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ ცნობილი უნდა იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის თორნიკე ტიკაძის ადგილმონაცვლის, ამავე პარტიული სიით წარდგენილი რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატის, ვენე კვირკველიას უფლებამოსილება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ვენე კვირკველიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას.
- 3) განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ იცვლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის მისამართი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველია**.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N773 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 110000 ლარი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციისათვის.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N789 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 499402 ლარი, თანადაფინანსება შეადგენს 37591 ლარს. სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 536993 ლარს, რომელიც მიიმართება ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის 16 აპრილის N633 წერილის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს განათლების ღონისძიებების (პროგრამული კოდი 0403) ხარჯი 1600 ლარით.

ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების 37291 ლარი და განათლების ღონისძიებების 1600 ლარით დაფინანსება განხორციელდეს წინა პერიოდში წარმოქმნილი

ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლის 38891 ლარით შემცირების ხარჯზე.

ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით დაიწყო ბიუჯეტში ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
- 2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ იურიდიული სამსახურის მიერ 2018 წლის მანძილზე მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის დადგენილებისა და ბრძანებების პროექტები. სამსახურის მიერ მომზადდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ 27, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 32 და შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების შესახებ 12 ბრძანება. პასუხი გაეცა სამსახურში შემოსულ კორესპონდენციებს (წერილები, განცხადებები) სამსახურის მიერ ხდება სხვადასხვა სამსახურების მიერ მომზადებული წერილებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება. სამსახური ჩართულია სასამართლო პროცესებში, იურიდიულ კონსულტაციას უწევს მერიის სამსახურებს, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებს და სპეციალისტებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული სამსახური შედგება ორი განყოფილებისგან: სივრცითი მოწყობის განყოფილება და ინფრასტრუქტურის განყოფილება. სივრცითი მოწყობის განყოფილებაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან: ურბანიზაციისა და სივრცითი დაგეგმარების საკითხებით, მშენებლობის ნებართვებით, შეთანხმებებისა და ექსპლუატაციაში მიღების საკითხებით. ინფრასტრუქტურის განყოფილებაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან მუნიციპალიტეტის მამულებით განხორციელებული ყველა სახის მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამუშავებით. ასევე, განყოფილება მუშაობს ყველა სახის დასკვნებისა და დეფექტური აქტების მომზადებაზე, რომლებიც შეიცავს მოსახლეობიდან შემოსულ თხოვნებს, ასევე წარმოებული მშენებლობების მდგომარეობას. სივრცითი მოწყობის განყოფილების მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 32 ნებართვა, შეთანხმდა 49 პროექტი, ექსპლუატაციაში აყვანილ იქნა 12 ობიექტი. ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოვიდა 10614 (ათი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური ასევე აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული თხოვნა-განცხადებების აღრიცხვას, კონტროლსა და მათზე რეაგირების საქმეს. 2018 წლის განმავლობაში აღნიშნულ სამსახურში მოსახლეობიდან შემოვიდა 695 განცხადება, რომელთაგან მომზადდა 600 დასკვნა, დამუშავების სტადიაშია 95 განცხადება. ინფრასტრუქტურის განყოფილებას 2018 წლის განმავლობაში დაპროექტებული აქვს 257 ობიექტი, საერთო ღირებულებით 7 882301 (შვიდი მილიონ რვაას ოთხმოცდაორი ათას სამას ერთი) ლარი. ამათგან: 1. სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების 346 პროექტი: ღირებულებით 5 716 660 (ხუთი მილიონ შვიდასთექვსმეტი ათას ექვსას სამოცი) ლარი. 2. 2018 წელს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული ობიექტების 22 პროექტი ღირებულებით 10 644 399 (ათი მილიონ ექვსასორმოცდაოთხი ათას სამას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი. 3. 2018 წელს სამშენებლო მასალით დახმარება გაეწიათ, სტიქიის შედეგად დაზიანებულ 458 საცხოვრებელ სახლს, აქედან დაიხურა 51 საცხოვრებელი სახლი, 2 ადმინისტრაციული შენობის სახურავი და 1 საბავშვო ბაღის სახურავი. აღნიშნული სამუშაოების გარდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობებს მათი ხარისხიანად შესრულების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური საქმიანობას ახორციელებს დატვირთულ სამუშაო რეჟიმში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამსახურის თანამშრომლები დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ ჯეროვნად და ძალიან ოპერატიულად. ამასთან, ნებისმიერ საკითხს ეკიდებიან დიდი პასუხისმგებლობით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში დასაქმებული ადამიანები იმსახურებენ წახალისებას დანამატის სახით.

ბიუროს წევრები დაეთანხმნენ საკრებულოს თავმჯდომარეს და აღნიშნეს, რომ ნამდვილად მიზანშეწონილია მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლების საქმიანობის დაფასება და მათი წახალისება. ამასთან, ამ აქციით დამკვიდრდება თანამშრომლების წახალისების პრეცედენტი, რითაც ჯეროვნად იქნება დაფასებული მათ მიერ გაწეული შრომა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, თუ როგორი სიტუაციაა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გზასთან დაკავშირებით და ასევე, რა ხდება სტიქიასთან მიმართებაში. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის თქმით, გზასთან დაკავშირებით მიმდინარე თვის ბოლოს მზად იქნება ხელშეკრულება. რაც შეეხება სტიქიას, შესაბამისი მასალები გადაგზავნილია ექსპერტიზაზე და პასუხის მოსვლის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სანამ ობიექტის პროექტი არ იქნება მზად, მანამ არ მოხდება მისი დაფინანსება. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს გაბიონების დაპროექტება, რის შემდეგაც მოხდება გზების პროექტირება. რაც შეეხება ხიდებს, ტენდერში მოგებული კომპანიების მიერ გაკეთებული პროექტების მიხედვით თითოეული ხიდის სარეაბილიტაცი სამუშაოების ღირებულება დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარზე აღის, რაც ძალიან დიდი თანხაა.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, **ლევან ჩხაიძის** თქმით, ხიდებთან დაკავშირებით ითხოვენ გეოლოგების დასკვნას.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **ვერიკო კვირკველიას** აზრით, შესაძლებელია ჯერ გეოლოგების მიერ დაიდოს დასკვნა და შემდეგ ადგილობრივი სპეციალისტების მიერ მოხდება ხიდების დაპროექტება.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, გეოლოგების მოწვევა ძვირადღირებულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი საპროექტო სამსახურის მიერ დაპროექტებული ხიდის ღირებულებამ შეადგინა 18 000 ლარი, მაშინ როცა იმავე მანძილის ხიდთან დაკავშირებით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის სპეციალისტების თქმით, საჭიროა 300 000 ლარამდე, რაც საკრებულოს თავმჯდომარის აზრით, აბსურდული და ძალიან შეუსაბამოა.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** მიიჩნევს, რომ ადგილობრივი სპეციალისტების მიერ უნდა დაპროექტდეს მარტივი ხიდები, რომელთაც არ ესაჭიროებათ გეოლოგიური დასკვნა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყეზიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წელს, სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-ს (ს/კ 205309637) წარმომადგენელმა ელგუჯა ჩხაიძემ მომართა განცხადებით სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-სთვის (ს/ნ 205309637) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანის ქ. N80-ში მდებარე, 1078 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 234.67 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, (ს/კ 27.06.52.066)) გადაცემის თაობაზე. მან ასევე განმარტა, რომ საკითხი შეეხება დროებით სარგებლობას და ვადას ვერ განსაზღვრავენ, რადგან საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“ შენობას დატოვებს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „ვეტერანების სახელმწიფო სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გია ნაჭყეზია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძე** აღნიშნა, რომ აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს ყოფილი საერთო საცხოვრებლის

დემონტაჟი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და მის მოადგილეს გიორგი ფაცურიას, რომ საჭიროა მცირე რაოდენობის თანხის დამატება, რათა სამუშაო პროცესში დამატებით ჩაერთოს ორი ტრაქტორი.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის **გიორგი ფაცურია**ს თქმით, ანალოგიური პრობლემა დგას სოფელ ნიგვზიანში, სადაც შენობის დემონტაჟის შემდეგომი პროცესებისთვის ესაჭიროებათ დამატებით ტექნიკა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძე**მ აღნიშნა, რომ ჩხაიძის ქუჩის მოსახლეობის ნაწილი, კეძოდ, სასულიერო გიმნაზიის მიმდებარე შესახვევებში, დარჩენილია წყლის გარეშე. მათი სია მუნიციპალიტეტის მერისთვის მიწოდებულია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აბსოლიტურად ყველა გამოტოვებული უბანი ჩაისვა პროექტში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი არის ისეთი სიტუაცია, რომ ქუჩის ერთი მხარე ეკუთვნის ლანჩხუთს, მეორე კი - გვიმბალაურს. აღნიშნული პრობლემის შესახებ საუბარი ქონდა „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რეგიონული ფილიალის ხელმძღვანელთან, რომელიც მუნიციპალიტეტის მერს დაპირდა საკითხში გარკვევას.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** ასევე აღნიშნა, რომ ჭავჭავაძისა და მისი მიმდებარე ქუჩები საშინელ მდგომარეობაშია და წვიმიან ამინდში გავლა თითქმის შეუძლებელია.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის, **გოგი მორჩილაძის** თქმით ორმოცია კოსტავას ქუჩასა და გაღვის ბენზინგასამართ სადგურთან, რაც აუცილებლად მისახედია. მან ასევე თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს სოფელ აკეთის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, რადგან მოსახლეობა ძალიან შეწუხებულია ამ საკითხით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ როცა სოფელ აკეთის მოსახლეობასთან იყო შეხვედრა, მაშინ ითქვა, რომ სოფლის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით გასავლელია მთელი რიგი პროცედურები. ის, თავის მხრივ იზრუნებს საკითხის მოსაგვარებლად,

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **ვერიკო კვირკველიას** თქმით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში მოქალაქეების დაფინანსებასთან დაკავშირებით ბრძანებები დაწერილია, მაგრამ თანხა რეალურად არაა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ თხოვა თავის დროზე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს მაქსიმალური ჩართულობა. ნებისმიერ ყველა სიტუაციას სამედიცინო კუთხით, თუნდაც მედიკამენტების შეძენაზე დახმარებას მუნიციპალიტეტი ფიზიკურად ვერ გაუმკლავდება, რადგან იმდენად ბევრია მოსახლეობის მხრიდან დახმარებაზე მომართვიანობა, რომ ფინანსურად ეს 200 000 ლარს გადააჭარბებს. იმ მოქალაქეებს კი, რომლებზეც ბრძანება დაწერილია, უმოკლეს ვადაში დაკმაყოფილდებიან.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის **ვერიკო კვირკველიას** თქმით, ის საუბრობს არა მედიკამენტების შესახებ, არამედ ისეთ სიტუაციებზე, როცა საჭიროა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მედიკამენტებთან დაკავშირებით იგეგმებოდა ხელშეკრულებით სამედიცინო განათლების მქონე სპეციალისტის აყვანა მერიის სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის დასაფინანსებელი თანხები არის. ისეთ სიტუაციებში, როცა ოჯახს არ აქვს შემოსავალი, ან პიროვნება არის ძალიან მძიმედ ავად და სხვ. დახმარება აუცილებლად გაეწევა, მაგრამ ყველა ნებისმიერ შემთხვევას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ფიზიკურად ვერ გაწვდება, რადგან ამოიწურა გათვალისწინებული თანხა და ერთი იმდენიც რომ დაემატოს, მაინც არ ეყოფა. რაც შეეხება ხელშეკრულებით სამედიცინო განათლების მქონე სპეციალისტის აყვანას, ეს სწორედ იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ თანხა აღარ არის. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს სხვადასხვა მხარეები, ის შეიძლება თავის მხრივ კარგი და დადებითია, მაგრამ უნდა თავისებური მიდგომა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის მუხლში თანხა არის, მაგრამ ასევე განმარტა, რომ როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდება, ყველა მოხელემ უნდა იმოქმედოს მის შესაბამისად, უნდა აყვეს არსებულ რეალობას და მიმდინარეობას, რადგან ბიუჯეტი კარნახობს, თუ რა და როგორ განხორციელდეს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ მოქალაქემ, ვასო წულაძემ გაიკეთა გულის მეორე ოპერაცია, საგარანტიო აქვს, მაგრამ თანხა არაა ჩარიცხული.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად ესწრებოდა შეხვედრას, სადაც ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებების შესახებ ესაუბრნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელს, ნინო შეწირულს, რომლის თქმითაც ამ კუთხით მიმდინარე წლის 1 ივნისამდე არანაირი სამუშაოები არ იგეგმება. არადა ხალხი ითხოვს, რომ დაიწყოს შეწამვლა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მასაც ქონდა საუბარი შესაბამის უწყებაში. მათი მოსაზრებით, წელს ფაროსანას რაოდენობა გაცილებით ნაკლებია და შეწამვლითი სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით ამიტომაც იკავებენ თავს. თერმული ნისლით შეწამვლას ხალხის მხიდან მოყვა გარკვეული წინააღმდეგობა, რადგან მათი თქმით ასეთი შეწამვლის შედეგად დაზიანდა ეზოები და კარ-მიდამო, ხეებს გაცვივდა ფოთლები და ხეხილი გახმა. ამიტომ ძირითადად მოხდება წერტილოვანი შეწამვლა და თუკი სასიგნალო მოწყობილობა აჩვენებს, რომ აზიური ფაროსანას შემოსევა იქნება მასიური, ამის შემდეგ განხორციელდება თერმული ნისლით შეწამვლა საღამოს 21:00 საათის შემდეგ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ აპარატში შესაწამლ ნივთიერებასთან ერთად ისხმება სალიარი. იყო შემთხვევა, როცა გაფუჭდა აგრეგატი რომელიც მათ ერთმანეთს შეურევდა, რის გამოც შეწამვლა მოხდა მხოლოდ სალიარით. ამან გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და მათ უარი განაცხადეს თერმული ნისლით შეწამვლაზე. თუკი მოსახლეობა იტყვის უარს თერმული ნისლით შეწამვლაზე, მაშინ ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელია, უნდა მოხდეს წერტილოვანი შეწამვლა, მაგრამ არის ადგილები, სადაც აუცილებელია გამოყენებულ იქნას თერმული ნისლი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარეს, **ზაზა წულაძეს** მიაჩნია, რომ წერტილოვანი შეწამვლის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს როგორც ფერომენი, ასევე მისი განთავსების ადგილმდებარეობაც. აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ჩასატარებელ ღონისძიებებში უნდა დაეხმარონ ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს და ასევე მათ უნდა გადაეცეთ მანქანები.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო